

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ეზოპი

# იგავ-არაკები



მთარგმნელი რუსუდან გორგაძე  
ილუსტრატორი ვარლამ ჯმუხაძე



გაქურს სულაქაურის  
გამომცემლობა

# შინაარსი

მელა და ყვავი.....	5
ფარშავანგი და წერო.....	8
კუ და კურდღელი.....	11
არნივი, ყორანი და მწყემსი.....	19
მელა და ყურძენი.....	22
ფრინველთა მეფე.....	24
ცხვრის ტყავში გახვეული მგელი.....	29
კატა და ქათმები.....	33
ლომი და მელა.....	38
კატა და თაგვები.....	42
მგელი და ყანჩა.....	47
ოქროს კვერცხის მდებელი ბატი.....	49
ხეში გაჭედილი მელა.....	56
ძალი და ძვალი.....	62
მზე და ქარი.....	67
ლომი და ქანდაკება.....	71
მელა და წერო.....	76
ლომი და ტახი.....	81
ქალაქელი თაგვი და სოფლელი თაგვი.....	84
ჭიანჭველა და მტრედი.....	89

ორი მოგზაური და დათვი .....	92
ლომი და თაგვი .....	95
მოხერხებული ყვავი .....	102
მელა და თხა .....	106
კატა და ეჟვანი .....	109
ძალღი სახურავზე .....	114
ნაძვი და მაყვლის ბუჩქი .....	118
კიბორჩახლა და მისი შვილი .....	120
კუ და არწივი .....	122
ჭრიჭინა და ჭიანჭველა .....	126
მატყუარა ბიჭი და მგელი .....	131
ზევსი და კუ .....	136
იგავების შესახებ .....	139

## მელა და ყვავი

„ი ფ, რა გემრიელი ჩანს! – ფიქრობდა ყვავი, ხის ჩრდილში მინაზე გაშლილ სუფრას დასცქეროდა და ნისკარტს ილოკავდა, – რამდენი საჭმელია, გარშემო კი არავინაა...“

ელვარე შავ თვალს ვერ სწყვეტდა მოზრდილ, წვნიან ხორცის ნაჭერს, სუფრის განაპირას, სულ ერთი ფრთის განვდენაზე რომ ედო.

„ოჰ, რა მაცდუნებლად დევს... უცბად რომ დავაცხრე და ნისკარტი ჩავავლო, მგონი მოვასწრებ!“ – გადანყვიტა ბოლოს ნერწყვმორეულმა. აღარ დაახანა, მაშინვე წამოიმართა, კუპრივით შავი ფრთები მოხდენილად მოიქნია და ისარივით სწრაფად დააცხრა ხორცის ნაჭერს. სწვდა ნისკარტით და ამაყად გაფრინდა უკან, ტყისაკენ.

ყვავი თავისმა მოხერხებულობამ ისე გააყოყოჩა, ვერ მოითმინა, ნადავლი სხვებისთვისაც რომ არ ეჩვენებინა. ხან ერთ ტოტზე შემოსკუპდა, ხან მეორეზე გადაფრთხილდა, ვინც კი შემოხვდა, მსუყე ხორცის ნაჭერი ყველას აჩვენა, ციყვებსა და კოდალებს, ზღარბებსა და ტოროლებს.

„მმმ... რა მადის აღმძვრელია! – გაიფიქრა მელამ, როგორც კი ყვავის ნისკარტში გაჩრილ ხორცს მოჰკრა თვალი და პირი ნერწყვით აევსო, – ფრთები რომ მქონდეს, სულ იოლად ჩავიგდებდი ხელში! აჰ, სამწუხაროდ, ფრენა არ შემიძლია! მაგრამ თუ მოვინდომებ, ის საუზმე ჩემი გახდება“.

მაშინვე ფეხაკრეფით მიიპარა იმ ხესთან, სადაც ყვავი შემოსკუპებულიყო, ვითომც აქ არაფერო, ხის ძირში ჩამოჯდა და თავის ფუმფულა, მონითალო კუდს დაუწყო ვარცხნა. მერე, თითქოს ყვავი ახლალა დაინახაო, სახე გაუბრწყინდა და წამოიძახა:

– ვაა, ყვანჩალა, აქ ხარ? ვაჰ, რა ლამაზი ფრინველი ხარ, რომ იცოდე!

ყვავმა ინტერესით ჩამოხედა მელას და კმაყოფილს გაეღიმა.

– რა პრიალა, რა ბრწყინვალე ბუმბული გაქვს! – განაგრძო მელამ, – შეხედე საკუთარ ფრთებს: შუალამესავით მუქი და მშვენიერია!

ყვავმა ამაყად ააფართხუნა ფრთები და ყელი მოიღერა.

– ახლა თვალებს არ იკითხავ? უშავესი მარგალიტივით გიბრწყინავს! განა შენისთანა მშვენიერი ფრინველი კიდევ მოიძებნება დედამიწაზე? – კიდევ უფრო უმატა მლიქვნელობას მელამ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ყვავმა მართლა დაიჯერა, ჩემი ბადალი მეორე არ დაფრინავს დუნიაზეო და გა-

იფიქრა: „დიახ, მშვენიერი ვარ! რატომაც არა? ყველაზე მშვენიერი ფრინველი ვარ!“

მელა მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა გაჭრა და კიდევ უფრო გათამამდა.

– მაგრამ იცი, გამიგია, რომ მიუხედავად ასეთი სილამაზისა, საშინელი ხმა გაქვს. აი, სიმღერაც რომ ისე ლამაზად შეგეძლოს, როგორც თავად ხარ, ნამდვილად ჩიტების დედოფლად გალიარებდნენ.

„მინდა ჩიტების დედოფლობა და გავხდები კიდევ! – გადანყვიტა ყვავმა, – ძალიანაც კარგად ვმღერი და ახლავე დავამტკიცებ!“

აღშფოთებულმა, როგორ თუ ხმას მიწუნებენო, მაშინვე ბოლო გაშალა, ნისკარტი დაალო და მთელი ხმით დაიჩხავლა:

– ყვაააა-ყვააა!

ჰოდა, რასაკვირველია, ხორცი გაუვარდა, ბზრიალტრიალით წამოვიდა მიწისაკენ და პირდაპირ მელაკუდას ხახაში ჩავარდა! ყლაპ! მელამ პირი გაანკლაპუნა და დამცინავად გაიღიმა.

– დედოფლის შესაფერისი არც ხმა გაქვს და არც ჭკუა, ყვავო. განა დედოფალი ამისთანა ოინს წამოეგებოდა? ხორცისთვის კი დიდი მადლობა მომიხსენებია, – ასძახა ხახამშრალად დარჩენილ ფრინველს და წაცუნცულდა.

## ფარშავანგი და ნერო

**ფ**არშავანგი მდინარის პირას მედიდურად დააბიჯებდა, წყალში თავისი ლურჯი, ბზინვარე ბუმბულის ანარეკლს უყურებდა და ტკბებოდა. მის უკან მინას დაჰფენოდა ულამაზესი, ლურჯ-მწვანე ფერებით აჭრელებული, საოცარი ბოლო!

მდინარეში ნერო იდგა და ნაპირზე მოსეირნე ფარშავანგს მონუსხული მისჩერებოდა. ფარშავანგმა მისი მზერა შენიშნა და თავად ამრეზით შეათვალიერა.

– არასოდეს მინახავს შენისთანა წვრილფეხება არსება, – მასხრად აიგდო საბრალო ნერო, – ალბათ როგორ გრცხვენია, არა? ძალიან მიკვირს, რომ ვერაფერი მოგიფიქრებია ასეთი წვრილი კანჭების დასამალად. შენი ფრთები კი... აჰ, შე საბრალოვ!

ამას რომ ამბობდა, ფარშავანგმა ბოლო ამაყად ასწია და ლამაზად მოხატული ბუმბული თავზემთ რკალად გადაიშალა. ნერო ისედაც გაოგნებული იყო მისი სილამაზით და ახლა მთლად გაშტერდა, ლურჯ-ვერცხლისფერ-მწვანედ აჭრელებული, თვალებით მოხატული ბოლო რომ დაინახა.

– ჩემი ფუმფულა ბუმბული მეფის ასულის მოსასხამსაც კი დაამშვენებს, – განაგრძო ტრაბახი

ფარშავანგმა, – იმპერატორები მარაოსთვის ინატრებენ, დედოფლები კი ფარდაგებს შეამკობენ! ჰმ! უნდა გშურდეს ჩემი! შეხედე შენს ფრთებს – როგორი ბრტყელი და თეთრია. ვერასოდეს იქნები ჩემსავით ლამაზი და დიდებულად შემოსილი.

წერომ მორცხვად დახარა თავი და გაიფიქრა: „მართალია! მე ვერასოდეს ვიქნები ასე ლამაზი. არავის შეეკვრება სუნთქვა ჩემი დანახვისას. არარაობა ვარ ფარშავანგთან შედარებით, ნამდვილი არარაობა!“

წერო მთელ დღეს უყურებდა ფარშავანგს და უფრო იხიბლებოდა. ბოლოს ჩამობნელდა და ფარშავანგმა დასაძინებლად ხეს მიაშურა. მაგრამ მაღლა არ აფრენილა, იქვე, ქვედა ტოტზე ჩამოჯდა. წერო მიუხლოვდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

– აქ რატომ დაჯექი? განა უფრო უსაფრთხოდ არ იქნებოდი, ხის კენწეროზე რომ შემომჯდარიყავი?

– უფრო მაღლა აფრენა არ შემიძლია, – უპასუხა ფარშავანგმა, – ჩემი გრძელი, მშვენიერი ბოლოს გამო.

– მაღლა აფრენა არ შეგიძლია? – გაიმეორა წერომ.

– ჰო, რა მოხდა მერე? რა საჭიროა? აქაც უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს.

– ესე იგი, შენ არასოდეს აფრენილხარ მაღლა, რომ ვარსკვლავებისთვის შეგეხედა? – გაოცებას ვერ მალავდა წერო, – არც ცის კიდეზე გინავარდია მზის ჩასვლისას?



– არა! – უკმეხად მიუგო ფარშავანგმა, – არც არაფერში მჭირდება ვარსკვლავების ან დაისის ცქერა. თუ რამე ლამაზის დანახვა მინდა, საკუთარ ანარეკლს ვუყურებ.

რა ქედმაღალი და ამპარტავანი ვინმე ყოფილაო, გაიფიქრა წერომ და გაელიმა. მერე ფარშავანგს თანაგრძნობით უთხრა:

– სულაც არ მშურს შენი. შენსავით ლამაზი ბუმბული არ მაქვს, მაგრამ მე ფრენა შემიძლია!

– როგორ მიბედავ? – აღშფოთდა ფარშავანგი.

– გიბედავ, იმიტომ, რომ შენი ლამაზი ბუმბულის მიუხედავად, ეზოში მოწივნივე წინილას არაფრით ჯობიხარ. მთელი ცხოვრება მინას ვერ ცდები, მე კი ცაში ნავარდი შემიძლია.

## კუ და კურღელი

მ იჟმაჟი მარტის დღე იდგა. ველური ქარი დაქ-შუოდა, ხეებს არხევდა და ყვითელი ნარგიზების სიფრიფანა ფურცლებს აქეთ-იქით ფანტავდა. კურდღელი გორაკის წვერზე იდგა და სუფთა ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. უცებ, ქარის თამაშით გამხიარულებულს თვითონაც სირბილი მოუნდა და მხიარულად შეიკუნტრუშა. მინდორში ქარს გამოედევნა, ხან იქით გადახტა, ხან აქეთ გამოქანდა, ხანაც მაღალ ბალახში გადაკოტრიალდა.

მინდვრის პირას ცხოველები შეკრებილიყვნენ და გაზაფხულის თბილ მზეს ეფიცებოდნენ. ერთხანს გალალეებულ კურდღელსაც ადევნეს თვალი და მისი სისწრაფით მოიხიბლნენ.

– ყურცქვიტავ, რა სწრაფად დარბიხარ, – შეაქო თხუნელამ.

– საოცრად მარდი ხარ, – არ ჩამორჩა თხუნელას ზაზუნა.

– და თან რა მოხდენილი! – დაინრიპინა ციყვმაც.

– ეჰ, შენსავით სირბილი რომ შემეძლოს!.. – წაიოცნება მაჩვმა.

კურდღელმა მედიდურად ასწია თავი და მიმოიხედა.

– დიახ, მართალს ამბობთ! – უთხრა მაქებლებს და გარშემო შემოურბინა, – ამქვეყნად ჩემზე სწრაფი არავინ მეგულება.

უცებ ვილაცის ხითხითი მოისმა. მიიხედეს და კუ დაინახეს – ბებერი, ზოზინა კუ, მათკენ რომ მოლოლავდა.

– შენ გაბედე ჩემი დაცინვა? – უღვაში გაბრაზებით ააცმაცუნა კურდღელმა, – შე ზოზინავ, შენა! შენ ხომ ვერსოდეს გაბედავ ჩემთან გაჯიბრებას.

– რატომაც არა? – ისევ ჩაიხითხითა კუმ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

– კარგი, – თქვა ბოლოს ცოტა არ იყოს, გაოცებულმა კურდღელმა, – ზუსტად ამ ადგილას შევხვდეთ შემდეგ სამშაბათს. მანამდე შეგიძლია კარგად მოემზადო. ჰოდა, შევხვდეთ და შევეჯიბროთ. ვინც ამ მინდორს გადაირბენს და უკანაც პირველი დაბრუნდება, გამარჯვება მას დარჩება.

კუმ დანაოჭებული თავი გააქნია და ბეჯითად თქვა:

– არა, აჯობებს მანძილი უფრო გავზარდოთ. იმ ტყეს გავირბენთ, მდინარის პირს გავუყვებით და გორაკზე, მუხასთან დავასრულებთ შეჯიბრებას.

– კი ბატონო, მე რა მენალვლება?! მაინც იოლად დაგამარცხებ. მაშ, შეხვედრამდე, ზოზინავ, – დამცინავად უთხრა კურდღელმა და ამაყად გაშორდა.

ცხოველებმა კუს თანაგრძნობით შეხედეს.

– საბრალო მოხუცო, რას ფიქრობდი, კურდღელ-თან შეჯიბრება რომ გადანწყვიტე? ის ხომ ყველაზე სწრაფი ცხოველია ამ ტყეში.

– მოიცადეთ, – გაიღიმა კუმ, – ცოტა მოიცადეთ და ნახავთ.

აი, შეჯიბრების დროც მოახლოვდა. მზიანი, თბილი დღე გათენდა. ტყის ბინადრები სეირის საყურებლად გამოიშალნენ და „სტარტის“ ხაზთან მოიყარეს თავი. ტოტებზე შემომსხდარი ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ, ბაჭიები და ციყვები კი ყურისწამლებად წრიპინებდნენ და ერთმანეთს წინა თათებს ჰკრავდნენ, რომ როგორმე პირველი რიგი დაეკავებინათ.

კუ მოთმინებით ელოდა შეჯიბრების დაწყებას, კურდღელი კი ადგილს ვერ პოულობდა, მოუსვენრად დახტოდა და მალაყებს გადადიოდა.

ბოლოს შეჯიბრების მონაწილეებს შორის ბუ ჩადგა, ცალი ფრთა ასწია და მთელი ხმით გამოაცხადა:

– მაშ, ასე, ვინცებთ შეჯიბრებას! როგორც კი ფრთას დავიქნევ, მონაწილეები უნდა გაიქცნენ.

– ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი!.. – დაითვალეს ცხოველებმა ერთხმად.

ბუმ ფრთა დაიქნია თუ არა, კურდღელი ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და მტვრის კორიანტელი დააყენა. კუმაც ბეჯითად გადადგა ერთი-

